ხელშეკრულება № 30

ქ.გურჯაანი

30 იანვარი 2013 წელი

ერთი მხრივ, ჩუმლაყის საჯარო სკოლა (მისამართი: სოფელი ჩუმლაყი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ელენე ტატიაშვილი სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად") და მეორე მხრივ შპს „პროფილაქტიკური დეზინფექციის სამსახური'"(მისამართი: ქ.გურჯაანი. რუსთაველის 20 ) მისი დირექტორის ელენე ქურთიაშვილის სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის მეთოდით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურეობა" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ჩუმლაყის საჯარო სკოლის შენობის სანიტარული ღონისძიებების (მავნებლებთან ბრძოლა დერატიზაცია მომსახურეობის უზრუნველყოფა. CPV კოდი 90900000.

2.2 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქვემოთ მოყვანილ ცხრილში დასახელებული სამუშაოები:

| სამუშაოს დასახელება | ფიზიკური ფართობი 1000მ $^{2}$–ში | დამუშავების ჯერადობა წელიწადში | ოპერატიული ფართობი | ზომის ერთეული დამუშა. ფასი | ოპერატიული ფართობის დამუშავების ღირებულება ლარი |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დეზინფექცია | | | | | |
| 2.დერატიზაცია | 3,0 | 24 | 72,0 | | 250 |
| 3.დეზინსექცია დაფრთიანებული ბუზების წინააღმდეგ. | | | | | |
| 4.ტარაკნები და მწერები. | | | | | |
| სულ: | 3,0 | 24 | 72,0 | | 250 |

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 250 (ორასორმოცდაათი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გამოყოს პასუხისმგებელი პირი, რომელიც გააკონტროლებს შემსრულებლიების მიერ ჩატარებულ სამუშაოებს და დაადასტურებს ხელმოწერითა და ბეჭდით წარმოდგენილ განრიგში.

4.2 შემსყიდველს არა აქვს უფლება მოითხოვოს მორიგი დამუშავებისას, აუცილებლად ჩატარდეს მუშაობა ობიექტის მთელ ფართობზე რაზედაც დადებულია ხელშეკრულება, თუ ცენტრის ჩვენებით ეს საჭირო არ არის.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურეობა ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მარა არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვლდებულებისაგან;

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 9. დავების გადაჭრის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მიმწოდებელი:
შპს „პროფილაქტიკური დეზიფექციის სამსახური" ; ქ. გურჯაანი რუსთაველის 20 ს/კ427716073; სს „ლიბერთი ბანკის " გურჯაანის ფილიალი ბ/კ.LBRTGE22; ა/ა GE49LB0113113837619000; ტელეფონი 599 71 86 53; ელ ფოსტა profdezi2010@gmail.com

შემსყიდველი: ჩუმლაყის საჯარო სკოლა ს/კ 227752161 ტელეფონი: 577–944–709, 577-679-111
ელექტრო ფოსტა: tmazanishvili55

შპს „პროფილექტიკური დეზინფექციის სამსახურის დირექტორი:
ელენე ქურთიაშვილი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ჩუმლაყის საჯარო სკოლის დირექტორი
ელენე ტატიაშვილი